



**სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო**

დავით აღმაშენებლის გამზირი №150  
0112 თბილისი, საქართველო  
+995 32 2439503 / +995 32 2439510  
info@nea.gov.ge  
nea.gov.ge

29 ნოემბერი 2023



N 21/10323

**შპს „ინერტი 2022“-ის დირექტორს  
ბატონ კობა დონაძეს**

ელ-ფოსტა: [inerti2022@gmail.com](mailto:inerti2022@gmail.com)

**სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრს**

ბატონო კობა,

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №10465 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ტინისხიდში სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობასა და ექსპლუატაციას.

გაცნობებთ, რომ წარმოდგენილ დოკუმენტში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- სკრინინგის განცხადებაში მითითებულია რომ, დოკუმენტი დაკორექტირებულია სააგენტოს მიმდინარე წლის 7 სექტემბრის 21/7498 წერილში განსაზღვრული შენიშვნების შესაბამისად. ვინაიდან, აღნიშნული წერილი ეხება გორის მუნიციპალიტეტში, სოფ. ხიდისთავში ი/მ თეიმურაზ ალიმბარაშვილის სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშა-ხრეშის) გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობას და ექსპლუატაციას, რაზეც 2023 წლის 4 ოქტომბერს გაიცა სკრინინგის გადაწყვეტილება (ბრძანება №524/ს), მითითებული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას;
- მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო ტერიტორიის (ს/კ: 66.44.03.461) საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 30 მეტრში მიედინება მდ. მტკვარი. აღნიშნულიდან გამომდინარე, დოკუმენტში განხილული უნდა იყოს საწარმოს „წყალდაცვითი ზოლის შესახებ ტექნიკური რეგლამენტის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 31 დეკემბრის №440 დადგენილებასთან თავსებადობის საკითხი და მითითებული უნდა იყოს მდინარის კალაპოტიდან - საწარმოში მოსაწყობ ინფრასტრუქტურულ ობიექტებამდე დაშორების მანძილები;
- სკრინინგის განცხადებაში აღნიშნულია (მე-2, მე-3 მე-6 თავები), რომ საწარმოდან უახლოეს მოსახლემდე დაშორების მანძილი შეადგენს 900 მეტრს, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ უახლოესი საცხოვრებელი სახლი (ს/კ: 66.59.08.067) საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 590 მეტრით. ამასთან,

აღსანიშნავია, რომ საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაახლოებით 480 მეტრში ფიქსირდება კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთი (ს/კ: 66.59.08.195) მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობით, რომლის ფუნქციური დანიშნულების შესახებ ინფორმაცია დოკუმენტში მოცემული არ არის. აღნიშნულიდან გამომდინარე, დაზუსტებას საჭიროებს საპროექტო ტერიტორიიდან უახლოეს მოსახლემდე მანძილი, სიტუაციურ რუკაზე დატანით;

- დოკუმენტში წარმოდგენილი არ არის საწარმოს შემადგენელი ყველა ობიექტის (ინერტული მასალისა და ნედლეულის საწყობები, სალექარი, სალამე მოედანი) GIS კოორდინატები (shp-ფაილთან ერთად). ამასთან, გენგეგმაზე დატანილი არ არის ინერტული მასალის საწყობი (გ-6);
- სკრინინგის განცხადების მე-2 და მე-3 თავებში მითითებულია, რომ საწარმოს წარმადობა შეადგენს 100 000 მ<sup>3</sup>/წელ-ს (160 000 ტ/წელ), ხოლო გამოყენებული ინერტული მასალის ხარჯი – **100 000 მ<sup>3</sup>/წელ-ს**. ამასთან, მე-20 თავში (გვ. 17) აღნიშნულია, რომ **160 000 მ<sup>3</sup>** ინერტული მასალის ტრანსპორტირებას (შეტანა-გატანა) დასჭირდება წელიწადში საშუალოდ 8 000 სატრანსპორტო ოპერაცია. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საწარმოში გადასამუშავებლად შეტანილი ინერტული მასალისა და წარმოებული პროდუქციის რაოდენობები;
- მე-6 (გვ. 4) და მე-20 თავებში (გვ. 14-15) მითითებულია, რომ საწარმოო მიზნით გამოყენებული იქნება წელიწადში მინიმუმ 50 000 მ<sup>3</sup>, ხოლო მაქსიმუმ 100 000 მ<sup>3</sup> წყალი. მე-20 თავში (გვ. 13) ასევე აღნიშნულია, რომ საწარმოო მიზნით წლიურად აღებული წყლის რაოდენობა იქნება 30 000-დან 50 000 მ<sup>3</sup>-მდე. აღნიშნული ინფორმაცია ურთიერთშეუსაბამოა და დაზუსტებას საჭიროებს საწარმოო დანიშნულებით გამოსაყენებელი წყლის რაოდენობა, ობიექტზე გადასამუშავებელი ნედლეულის რაოდენობის გათვალისწინებით;
- მე-20 თავში (გვ. 14) მითითებულია, რომ წყალაღების წერტილიდან საწარმო დაშორებულია 150 მეტრით, თუმცა, მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ წყალაღების წერტილიდან საწარმომდე დაშორების მანძილი შეადგენს დაახლოებით 90 მეტრს. შესაბამისად, აღნიშნული საკითხი საჭიროებს კორექტირებას და ამასთან, დოკუმენტში წარმოდგენილი უნდა იყოს წყალაღების წერტილიდან საწარმომდე და სალექარიდან წყალჩაშვების წერტილამდე წყლის მისაყვანად გათვალისწინებული მილების პარამეტრები;
- მე-20 თავში აღნიშნულია, რომ „გამოყენებული წყლის ზედაპირულ წყლის ობიექტში ჩაშვება ხდება მხოლოდ ჭარბი წყლის რაოდენობის წარმოქმნის შემთხვევაში, რაც სავარაუდოდ წლიურად მაქსიმუმ 50 000 მ<sup>3</sup>-ს შეადგენს“. აღნიშნული ჩანაწერი საჭიროებს განმარტებას და დასაბუთებას, ამასთან, დასაზუსტებელია საქმიანობის განხორციელებისას წარმოქმნილი ჩამდინარე წყლის რაოდენობა, ნედლეულის სველი მეთოდით გადამამუშავებისათვის აღებული წყლის რაოდენობის გათვალისწინებით;
- მე-20 თავში (გვ. 16) აღნიშნულია, რომ „მუნიციპალურ ნარჩენების გატანაზე გაფორმებულია ხელშეკრულება დუშეთის მუნიციპალური დასუფთავების სამსახურთან“. ვინაიდან, ქვიშა-ხრემის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობა დაგეგმილია გორის მუნიციპალიტეტში, აღნიშნული ჩანაწერი გაუგებარია და საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემული უნდა იყოს საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში მოსალოდნელი ხმაურის გაანგარიშების შედეგები, უახლოეს მოსახლესთან დაშორების მანძილის გათვალისწინებით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

პატივისცემით,  
ვასილ გედევანიშვილი



სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო

